1312/4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ-კვირეული ჟურნალი

№ 11

ფასი 10 კაპ.

კლდე

№ 11

25 გიორგობისთვე 1912

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲜᲐ

ᲬᲘᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

1 წლ ,—5 მან. ამა 1912 წლ დამლევამდე—1 მან. 50 კაპ. სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ დაეთმობათ 4 მან.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲔᲙᲝᲜᲝ-

ᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

რედაქცია ღიაა ყოველ დღე 11—1 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე". დეპეშისა: თბილისი კლდე.

ᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ: მეთაური. ბასი.—ა.—**ლისა.** ისევ კახეთის რკინის გზა.—**რ.—გესი.** ხეტრეის შორეგში.—**ეკალისა.** კულტურული საქმიანობა სოფლად.—**მროველისა.** ხრონიკა. სამეურნო არტელები.—**აქილესისა.** ჩატანდვა.—**მეომარისა.** ქართული თეატრი. სარეკი.

თბილისი. 25 გიორგობისთვე

1912 წ.

„სახალხო გაზეთში"*) ბატ. „შინაური" გვეკამათება „ნაციონალიზმის" შესახებ. თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ ორი მისი შეცდომა: ჩვენს წერილში („კლდე" № 9) ლაპარაკი იყო **პოლონელებს ნაციონალიზმზე, პოლონელების თვალსაზრისით**, მაშასადამე, მათი აზრი არ შეიძლება სრულად ჩვენ მოგვეწეროს, მით უფრო, რომ რამდენჯერმე განგებ ხაზი გავუსვით ამ გარემოებას,—ეს ერთი და მეორეც, ჩვენ არსად არ გვითქვამს, რომ სოციალიზმი და ნაციონალიზმი ერთმანეთის „საწინააღმდეგო და უარის მყოფელი" **ცნებანი** არიან საზოგადოთ. ჩვენ მხოლოდ ვაღვიარეთ და ვეცდებით დავამტკიცოთ კიდეც, რომ **ეროვნულ** საკითხების გადაწყვეტაში სოციალიზმი ბელადობას ვერ იკისრებს. „მას (სოციალიზმს) შეუძლიან დაიცვას იგი (ნაციონალიზმი) როგორც იდეა, მაგრამ სოციალიზმმა რომ **მთლად** მისი ადგილი დაიჭიროს ეროვნულ ბრძოლაში, ეს არსებითად ყოვლად მოუხერხებელია"—აი, პირიქით, რას ვამბობდით ჩვენ სოციალიზმის და ნაციონალიზმის ურთიერთობაზედ. ცხადია, მხედველობაში გვქონდა ამ ორ ცნებათა **საზოგადოთ** წინააღმდეგობა კი არა, არამედ ეროვნულ საკითხის პრაქტიკულ გადაჭრაში.

და რომ ეს ასეა, ყველაზედ უკეთეს საბუთს თვით „სახალხო გაზეთი" და მისი წინაპრების ისტორია გვიმტკიცებს, რომელიც ჟამთა ვითარებამ, ბევრჯელ არა მარტო დაავიწყა სოციალიზმი და ბურჟუაზიულ კერძო საკუთრების ჰანგებზედ აალაპარაკა (საბუთების და მაგალითების ძებნა ბევრი არ დაგვჭირდება, რადგან იყო დრო, როცა ჩვენ თვითონ ვიღებდით მონაწილეობას ამ „გაუპატიურებაში"). არამედ იმისთანა ნაციონალისტური ხმებიც გამოალებინა, რომ ჩვენ დავიხევდით უკან. აბა მოიგონეთ არჩილ ჯორჯაძის და სხვათა უკანასკნელი წერილები არჩევნების დროს.

შეუძებელიც არის გულწრფელმა ადამიანმა, სოციალისტი იქნება იგი, ქრისტიანი, თუნდ წინააღმდეგობის უარმყოფელი (непротивленецъ)—გულგრილად შეხედოს სა-

*) № 749.

ქმეს მაშინ, როცა გარეშე ძალა მის ეროვნულს მისწრაფებას ფეხითა სთელავს.

და როცა ამ უკანასკნელ საკითხზედ გადავდივართ, ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ბატ. შინაური, სწორედ ისე, როგორც ამას საზოგადოთ „სახალხო გაზეთი“ სჩადის, თვალს იხვევს სინამდვილეზედ და ამბობს: „სოციალისტისთვის ეროვნული საკითხი არსებობს იმ დრომდე, სანამ არსებობს ეროვნულ **უფლებათა***) უსწორ-მასწოროობა“. ეს შემცდარი აზრი კიდევ შეიძლება შეწყნარებულ იქმნეს, როცა საკითხი შეეხება ორს **თავისუფალს**, ერთგვარად მომზადებულს ერს, მაგრამ მაშინ, როდესაც ერთ სახელმწიფოში, როგორც ეს რუსეთშია, რომელიმე ერი იდევნება არა მარტო მთავრობისაგან, უმთავრეს ერისაგან, არამედ სხვა ერისაგანაც, მასთან **უფლებრივ** გათანასწორებულისაგან (როგორც სომხები და ქართველები, ან ებრაელები და პოლონელები)—მაშინ რა პასუხს აძლევს ბატ. შინაური და „სახ. გაზ.“ ამ მოვლენას? ებრაელნი პოლონეთში, უფლებრივ, იურიდიულად, პირიქით, უარეს მდგომარეობაში არიან ვიდრე პოლონელები და ყოველი პროგრესისტის, დემოკრატის, სოციალისტის მოვალეობაა იბრძოლოს მათ უფლებრივ გაადამიანებაზედ, მაგრამ ამავე დროს არავინ ივიწყებს იმასაც, რომ, როგორც ეროვნება, ისინი მეტოქეობას უწევენ პონელებს და აფერხებენ მათ წინსვლას; მის „ეროვნულ ინდივიდუალობის დაცვას“ ხელს უშლიან. ისე სომხობა ჩვენში; განა ყველასათვის ცხადი არ არის, რომ ჩვენ ორთავენი დაჩაგრულ ერთა სიაში ვართ და უნდა შეთანხმებით ვიბრძოლოთ საერთო უუფლებობის წინააღმდეგ, მაგრამ ისეთ მდგომარეობაში არ უნდა ჩავცვივდეთ, რომ სანამ, პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გააძრონ და მათმა ბურჟუაზიამ, მათმა ეროვნულმა შოვიზმმა ნიათი გამოგვილიოს, ხელიდან ლუკმა, ფეხქვეშიდან მიწა გამოგვაცალოს. განა წრევანელმა არჩევნებმა ნათელ არა ჰყვეს, როგორც სხვა მაგალ., რომ სომხის ბურჟუაზია ჩვენ გვებრძვის, როგორც ეროვნებას, რომ ისინი ჩვენ ეროვნულ მისწრაფებათ არამც თუ არ ექომაგებიან,—პირიქით, ქვასაც ესვრიან? განა სიმპტომატიური მოვლენა არ არის, რომ სომხის ბურჟუაზიის ორგანოში „ტიფლისკი ჟურნალში“, ~~ქართველებმა~~ ~~ხლაპარაკ~~-დნენ იმაზედ, რომ ტერიტორიის დაკარგვა ჯერ ეროვნული სახის დაკარგვა არ არისო? ეს ერთი მხრით აიხსნება „მაღალი თეორიის“ „მსხვილმანების პოლიტიკის“ გავლენით, როცა ადამიანი ცას ეპოტინება და მიწა ძირიდგან ეცლება.

ერთი საანბანო ჭეშმარიტებაა გამოთქმული შინაურის წერილში, რომ ორი ცნება: „ეროვნულ ინდივიდუალობის დაცვა“ და „ნაციონალიზმი“, როგორც ეს უკანასკნელი ესმით საზოგადოთ—არ უნდა შეირიოს ერთმანეთში,

მაგრამ, ჯერ ერთი ცნება „ნაციონალიზმს“ იმდენი სახე აქვს ეხლანდელ დროში, რომ უუპროგრესიულიდგან-უურეაქციონურ შინაარსამდე შეიძლება შიგ მოვათავსოთ, და მეორეც, განა „სახალხო გაზეთმა“ არ იცის, რომ დღეს კამათი სიტყვის და ცნების შინაარსზედ კი არ უნდა იყვეს, არამედ ის **შინაარსი** უნდა გამოიძებნოს, რომელსაც ჭეშმარიტი სახელი დაერქვას, ეს შინაარსი კი ჩვენ გვესმის, როგორც ყოველმხრივი **განვითარება ეროვნების ძალთა ეკონომიურ, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროში**. ჩვენ გვსურს ჩვენი ეროვნული ფიზიონომიის დაცვა guand même, ე. ი. არა მარტო პირდაპირ მოტანილი იერიშისაგან, არამედ ყოველი უჩინარი, ჩუმი დარღვევისაგანაც, წარმოსდგება იგი გარეშეთაგან, თუ რენეგატებისაგან.

ამისათვის თავდებოდა ჩვენი წერილი ჩვენი პროგრამის ერთი კუნჭულის გამოჩენით: „საჭიროა, უპირველესად ყოვლისა, გარდაწყვეტა რთულ ეკონომიურ-ეროვნულ საკითხებისა და თვით ეს გარდაწყვეტა შეიტანს ცხოვრებაში (ეროვნებათა) თანასწოროობის პრინციპს“.

და ამ თვალთახედვით კი ჩვენ არც სოციალისტები ვართ, რადგან სოციალიზმი არა თუ არა სწყვეტს, **დღევანდელ ობიექტურ პირობებში**, ეროვნულ საკითხს, არამედ აკარგვინებს ნიადაგს და ხელფეხს უკრავს ეროვნულ მოქმედებას.

---

*) ხაზი ჩვენია.

ბაასი

I.

სისხლიდან დავიცალენით!

მეთვრამეტე საუკუნის მიწურულებში დიდი რუსეთი მოადგა კავკასიის ქედს. ადვილი არ იყო ბუნებისაგან ჩამოსხმული ციხის აღება და გამარჯვებული რუსეთიც იძულებული გახდა შეჩერებულიყო ციხის წინაშე. აქ რუსეთს ბედმა გაუღიმა და ადვილად დასთრგუნა დაბრკოლება.

დესპოტიურ მეზობლებისაგან გულგატეხილმა საქართველომ, უღალატა თვის ისტორიულ მისსიას და დარიალის კარი გაუღო რუსეთს. მთის ბატონს ყაზიბეგს საქართველომ უბრძანა—რუსების შემოსვლას ხელი მოუწყეო. ზურგით ეზიდებოდა ქართველობა დარიალის ციცაბო კლდეებზე და გუდაურის მწვერვალებზე რუსის ზარბაზნების ნაწილებს და საშშვიდობოში, ბარში ჩამოჰქონდა.

„ტურფა საქართველოს ხეობებში“ რუსეთი მკვიდრად დაბინავდა. დადგა აღსასრულის დღენი შეუპოვარ მთისა. სამოცი წელიწადი ებრძოდა რუსეთი მთას ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან. სოროში მოქწყვდეული მთა და თვით გენიოსი შამილი ვეღარას გახდა. თოფის წამლის კვამლის ღრჩოლას ვეღარ გაუძლო მთამ და ქედი მოიხარა.

მთასთან ბრძოლაში რუსეთს უკან გაჰყვა ქართველობა. კვერცხივით ზედ ასკდებოდა ქართველი—კავკასიის ქედის სალს კლდეებს. საუკეთესო ვაჟკაცობამ იქ, მთის ხევ-ხუევებში დალია გმირული სული, ერთის სიტყვით, საქართველო სისხლიდან დაიცალა; შინ, შინ-კი აშენებული ოჯახი დაგვენგრა, კერა გაგვიცივდა.

დავეცით სულიერად, ნივთიერად და, ასე გაშინჯეთ, ხორციელადაც. ისე წავხდით სულიერად, რომ ყოველი ვიგინდარა, ვინ იცის საიდან მოთრეული, თავში გვიჩაკუნებს და ჩვენ კი ძალა აღარ შეგვწევს რიხიანად დაუყვიროთ: აცხა, შე ვერანავ! ნივთიერად ისე დავგლახაკავდით, რომ ტანი ვეღარ შეგვიმოსია. ისე გამოგველია ნიათი, რომ მარჩენალი მიწა-წყალი ნიავ-ქარივით ხელიდან გვეცლება. ამ კვირია უცხო ტომის კაცმა 12.000 დესეტინა, ესე იგი 24.000 დღიური იყიდა 80.000 მანეთად, ექვს მაურად და სამს კაპეიკად თავად მაჩაბლებისა და აბაშიძისაგან.

ხორციელადაც წავხდით. სადღაა ჩვენი სილამაზე—სიტურფე?

დიაღ, სისხლიდან დავი[illegible] დაქცეული სისხლით შევღებეთ კავკასიის [illegible] მაგრამ ჯილდოდ ყველა ამისა რა მივიღეთ? დაქცეული ოჯახი და კერა გაცივებული.

* *
*

ირანსაც ვემსახურეთ ერთგულად და თავგამეტებით. მოიგონეთ მეფე გიორგი მეთერთმეტე. ამ საკვირველმა მეფემ თავის პატარა გუნდით, სადაც მარტო საოცარი ვაჟკაცნი იყვნენ შეკრეფილნი, შიშის ზარი დასცა ირანის ბატონის მტრებს, ისე სთელავდა ირანის ველ-მინდორს, თითქოს ბამბის ქულაათ. ღალატით მოჰკლეს მეფე გიორგი XI. მასთან ერთად გასწყდნენ მისნი მხლებელნი. კვლავ დაიცალა საქართველო სისხლიდან. მერე და ამ განწირულს სულის კვეთებისათვის ჯილდოდ რა მივიღეთ? ისა რომ თვით წამხდარმა ირანმა ისე წაგვახდინა, რომ ხელის განძრევის თავი აღარა გვაქვს.

ხომ გინახავთ ჭირიანი, აბუზული ქათამი, ბიბილო გალეურჯებული და თავჩაქინდრული, აი ჩვენი დღევანდელი სახე.

ომი კარგია ზოგჯერ, იგი აკეთილშობილებს მეომარს, ერის შეკუმშულ ძალას შლის, თუ საგანი ომისა პატიოსანია და იცავს ერის უმაღლესს იდეალს. ომი უაზრო და უსაგნო დამღუპველია ერისა. რა იდეალს ემსახურებოდა მეფე გიორგი XI, ოდეს ავგანისტანისა და საერთოდ ირანის ტერიტორიას ხერავდა და ფეხქვეშ სთელავდა? არავითარს.

*
* *

ამბობენ, ოსმალეთში მილიონ ნახევარი ქართველიაო, ესე იგი თითქმის იმდენი, რამდენიც მკვიდრ საქართველოშია. საქართველოს წახდენაში ოსმალეთს უფრო დიდი ღვაწლი მიუძღვის, ვიდრე ირანს.

მთელი მესამედი საქართველოსი, საუკეთესო ნაწილი მისი, ჭოროხისა და მტკვრის სათავეთა ხეობანი მკაცრის ხელით მოგვგლიჯა და ცეცხლითა და მახვილით გაამაჰმადიანა. ამ დოსტაქრობით არ დაკმაყოფილდა და აურებელი ქართველობა გაიტყუილა სათვისიანოში და დააბინავა მცირე აზიაში.

ამ ჟამად ოსმალეთი განკითხვის დღეს განიცდის. ულმობელი ისტორია ანგარიშსა სთხოვს. ბე-

დის ჩარხი ეგები ისე დატრიელდეს, რომ ევროპიდან ფეხი ამოაკვეთინონ და შეიძლება თვით მცირე აზიაშიც (ანატოლია) აღარ აბოგინონ. რაკი ცხოვრების უნარი არა გქონიათ, აიბარგენით და იქ წაბძანდით, საიდანაც მობძანდით ამ ხუთას—ექვსასის წლის წინადო.

ოთხის წლის წინად ოსმალეთი ახალ გზას დაადგა. იმ გზას, რომელმაც ევროპა მიიყვანა დიდად კეთილ და განვითარებულ ცხოვრებამდე.

ოსმალეთში მოქცეულმა ერებმა თავისუფლად ამოისუნთქეს და მხურვალედ შეუდგნენ ეროვნულ ცხოვრების გამოკეთებას. ასე გაშინჯეთ, ველურმა ანბანელებმაც კი საკუთარი კლუბი დაიარსეს სტამბოლში. სხვა-და-სხვა ერის დეპუტატები ეროვნულ ჯგუფებად დალაგდნენ პარლამენტში. მარტო ქართველებმა ვერ მოახერხეს ესა, ვერ გაბედეს გამოეჩინათ თვისი ეროვნული სახე და ხმა მაღლა ეთქვათ, ჩვენ ქართველები ვართ და საკუთარი ქართული საქმე გვაქვსო.

როგორც მოგახსენეთ ზემოთ, დღეს ოსმალეთის განკითხვის ჟამია. ოსმალეთის ჯარმა თავი შეირცხვინა და მტერს ზურგი უჩვენა. ამ საერთო უბედურების დროს ისევ ქართველები ირჯებიან, ძველებურად, მამა-პაპურად.

იცლებიან სისხლიდან და ნეტა რისთვის? რას მიიღებენ ჯილდოთ, რას მოელიან, ოსმალეთის მტერს რომ ზედ ასკდებიან. ვფიქრობთ, რომ მარტოდენ დანგრეულ ოჯახს და ვაკივებულ კერას. შეუძლებელია სტიქიურად მოქმედება, ფეხის განძრევასაც თავისი თაბაუთი უნდა ჰქონდეს.

სტუდენტმა ოსმალომ ლებიბმა, მოხალისედ გასულმა ჯარში, აი თურმე რა უამბო რუსის გაზეთის კორესპონდენტს: „ჩვენი ჯარის-კაცნი მამაცად იბრძვიანო, განსაკუთრებით ლაზნი და გურჯები (ქართველნი მაჰმადიანნი). გაშმაგებულნი მიიწევენ წინ, რომ ხელ-ჩართული გამართონ, მაგრამ ბულგართა ტრანშეებს ვერ აღწევენ რადგან ტყვიისგან განგმირულნი, უსულოდ პანტასავით ძირს ეცემიანო“. იმავე ლებიბას უთქვამს, რომ ტრაპიზონიდან გადმოიყვანეს ბრძოლის ველზე რამდენიმე დივიზია, შემდგარი მარტოდ-მარტო ლაზებისაგანაო. ესენიც სისხლიდან დაიცლებიან და ნეტა ვიცოდეთ რისთვის?

ა. — ლი.

ისევ კახეთის რკინის გზა

კახეთის რკინის გზა იმ ზღაპრულ-მელას დაემსგავსა, რომლის კუდმაც მისივე ბოდიში გადაყლაპა. და რომ ეს ასეა, არავის შეუძლიან უარჰყოს, ვინც კი ოდნავ მაინც ჩახედულია ამ გზის ვითარებაში და წარმოდგენილი აქვს, თუ რა მოელის მას.

ჩაუფიქრდეთ მართლაც იმას, თუ რა ხდება ამ ჟამად და რა საკითხი უნდა გადასწყდეს ამ თვის ბოლოში.

კახეთის რკინის გზის სიგრძე სულ 165 ვერსამდეა და სილნაღ-ბაქოსი კი 426; და ეს უკანასკნელი უნდა გაიყვანონ, როგორც პირველის „გაგრძელება“. კანონითაც კი ეს ყოვლად შეუფერებელი მოვლენაა და ესე რომ შესაძლებელი იყვეს კონცესიის აღება, მართლაც შეიძლებოდა, როგორც ერთმა ფინანსისტმა სთქვა, „ორი სამი ვერსის სარკინიგზო კონცესია აეღო ადამიანს და შემდეგ მთელ რუსეთის იმპერიაზედ მისი „გაგრძელებანი“ მოეფინა. მაგრამ ასეთი არა ჩვეულებრივი მოვლენა ძნელი განსახორციელებელი იქნებოდა, რომ რაღაც უფრო „არა ჩვეულებრივი“ საშუალებანი არ ეხმარათ.

მაგრამ ამას თავი დავანებოთ. საქმე ის არის, რომ 426 „ცოტა“ მეტია 165-ზედ და 426 ვერსის გზა ცოტა მეტიც დაჯდება—40—50,000,000-მდე. და ამ ჯამში, რომლის სააქციონერო თანხას შეადგენს 5,000,000, გაქრება თავად-აზნაურობის 4—900,000-მდე მანეთის აქცია. აქედან ცხადია, რომ კახეთის რკინის გზა თავად-აზნაურობის ხელში აღარ იქნება, მისი პატრონი სილნაღ ბაქოს გზის პატრონისაგან დაიჯაბნება და თვალს ველარ გაუსწორებს თავის დამჯაბნელს. ზოგიერთს, ჩვენს საზოგადოებაში ეს ნათლად არა აქვს წარმოდგენილი და წინ აყენებენ იმ საკითხს, რომ სილნაღ-ბაქოს გზა კახეთისას შემოსავალს შეჰმატებსო. ეს მხოლოდ სხვის თვალის ასახვევი ხრიკია, თორემ როგორ დაიჯეროს კაცმა, რომ ამ შემოსავლისათვის კახეთის რკინის გზამ უნდა დაჰკარგოს თავისი დამოუკიდებლობა—მაშინ როდესაც ეს შემოსავალი **არას გზით** არ ასცდება მას, თუნდაც ბოროტგანზრახვებით მოინდომონ აცდენა. სილნაღ-ბაქოს გზა და კახეთის რკ. გზა იყრებიან ერთ სადგურზედ (წნორისწყალი-სილნაღი) და, რასაკვირველია, ერთმანეთს გადასცემენ სატარებელ ტვირთსაც და მგზავრებსაც. ამაში ეჭვი არ არის და რა შელავათი ექნება კახეთის რკ. გზას

განსაკუთრებით გაერთიანებისაგან, ამას არავინ ამბობს. შეიძლება მცირედათ აგვიხირდნენ: ტვირთის **გადაცემა** გამოიწვევს ხარჯსაო, მაგრამ ეს შეიძლება სრულიად დაირღვეს კერძო შეთანხმებით სილნალ-ბაქოს რკინის გზასთან, რომ მატარებლები ერთი მეორის რაიონში დადიოდნენ, როგორც ეს არის, მაგალითად, რუსეთის კერძო და სახაზინო რკინის გზებზედ.

არა, არ არის ისეთი მოსაზრება, რომელიც ამართლებდეს შეერთებას და მით უფრო საკვირველია ამ შეერთების სურვილი ბ. ი. თუმანიშვილისაგან, რომელიც, როგორც თავად-აზნაურობის წინამძღოლი, უნდა იცავდეს თავ-გამოდებით **მის** ინტერესებს, დარაჯად ედგეს მის ქონებას.

და ეხლა, როდესაც სწყდება ასეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი, როდესაც საზოგადოება აღელვებულია რკ. გზის ბედით, იგი არა მარტო არა გრძნობს მოვალეობას პასუხი გასცეს, თავი იმართლოს, ან მედგრად შეებრძოლოს ხიფათს, —ის სდუმს, და თვით იმ ფაქტით, რომ წინამძღოლია თავად-აზნაურობისა, აფერხებს სხვებსაც.

მართლაც, წარმოიდგინეთ ის არა ნორმალური მდგომარეობა, როდესაც ბ. ი. თუმანიშვილს, ჯერ ერთი დაინტერესებულს პირს და მეორეც ამ საქმის ჩამშლელს, ბედმა არგუნა წინამძღოლობა იმ თავად-აზნაურობისა, რომელიც წინააღმდეგია იმისი საქციელისა და ზრახვისა, როდესაც მთელი საზოგადოება ერთხმად იზიარებს მის წინააღმდეგს აზრებს, გამოთქმულს, ჩვენდა სასიხარულოდ, არა მარტო ჩვენგან, არამედ მთელი ჩვენი პრესისაგან, და თვით „ზაკავკაზსკაია რეჩისაგანაც“ კი.

ახლა ვიფიქროთ, შესაძლებელია დაინტერესებულმა პირმა ისე ობიექტიურად შეხედოს საკითხს, რომ ანგარიში გაუწიოს მოპირდაპირეთა შეხედულობას და უღელი თავისკენ არ გადახაროს? თუ ეთიკა მოითხოვს ამ საკითხის გარდაწყვეტაში არა თუ არავითარი მონაწილეობა არ მიიღოს, არამედ გავლენაც არ იქონიოს, როგორც წინამძღოლმა? თუმანიშვილი რომ კერძო პირი იყოს, მის გავლენას არავინ მოერიდებოდა, მაგრამ როგორც თავ.-აზნ. წინამძღოლს მას ხელთ უპყრია უფლებაც და ამიტომ მეტი სიფრთხილეც ჰმართებს.

ეხლა კი ძალაუნებურად შეუძლიან საკითხის ისე დაყენება და წარმართვა, როგორც მის ინტერესებს და შეხედულებას შეეგუება. და ბრალი ამ საქმის დაღუპვისა უმეტესად მას დააწვება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თუმანიშვილი იგრძნობს თავის დანაშაულსაც, უხერხულ მდგომარეობასაც და სრულიად ჩამოშორდება ამ საქმეს.

ამას წინად, № 262 „ზაკავკაზსკ. რეჩში“ წერილი იყო „Онъ-же“-სი, საცალიერ ... ... სვავს საკითხს, რომ თავად-აზნაურობა სცდილობდა, კახეთის რკინის გზა არამცთუ დამოუკიდებული გაეხადნა, არამედ მთლად თვით თავად-აზნაურობის ხელში ყოფილიყო და ჰგმობს რუსეთ-აზიის ბანკის საქციელს, რომ მან გააფართოვა თავისი საქმე და ამით დაარღვია უფლებანი თავად-აზნაურობისა. სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ბანკი რის ბანკია, თუ თავის სარფას ხელიდგან გაუშვებს, მაგრამ ამ დანაშაულს რად უწყობს ხელს თვით თავად-აზნაურობის წარმომადგენელი და აწ წინამძღოლიც—ეს გაუგებარია.

„Онъ-же“ მიმართავს თავად-აზნაურობას—მოიფიქროს, ეგება შეერთება სასარგებლო იყოსო და თუ არა, მაშინ ყველა ღონის-ძიება იხმაროს თავის უფლებათა დაცვისთვისაო.

ეს განა ცხადი არ არის ვისთვისმე? განა სადმე თქმულა,დაწერილა ერთი სტრიქონი მაინც, რომ სილნალ-ბაქოს გზასთან შეერთება ხელსაყრელიაო? განა რაიმე მოსაზრება მოუყვანია ვისმე ამ გზათა შეერთების სიკეთეზედ?

არა და არა, და თუ გულწრფელად ჩაუფიქრდებით, არც შეიძლება — შეერთების სასარგებლო საბუთი გამოინახოს. ამიტომ სდუმან ისინი, ვინც ხელს უწყობს საკუთარი ეროვნული საქმის გათახსირებას და პირად ანგარიშებს ისწორებს, თორემ განა დასამალია აღნუსხვა იმ სარგებლობისა, და შემატებისა, რომელსაც სილნალ-ბაქოს გზა მოუტანს ჩვენ გზასა? განა ყველასათვის სასიხარულო არ იქნებოდა გაგვეგო, რომ ბ. თუმანიშვილი და მისი მეგობარი კომერსანტები ჩვენთვის „მოწყალებას“ იმეტებენ და კახეთის რკინის გზის სარგებლობაზედ ფიქრობენ?

ეს არავის ეძრახვის, როგორც არ ეძრახვის სპარსეთში ტყის კონცესია იქონიოს, შემახაში ნავთის ქარხნები და რკინის გზების გაყვანა—და იმავე დროსა წინამძღოლადაც ყოფნა თავ.-აზნ., თავმჯდომარედ სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებაში და სხ.—პირიქით, ეს მარტო იმედს გვაძლევს, რომ ქართველთ მზე არ ჩასულა ჯერა და ჩვენც! გვყოლია „ყოველმხრივი“ მოღვაწენი. მაგრამ, როცა კერძო ინტერესებს შეეწირება საზოგადოებრივი, როცა პირად ანგარიშებს ასწორებენ ეროვნული თანხიდგან—მაშინ პატიოსანი და გულახდილი სა-

ზოგადოება მოვალეა ხმამაღლა სთქვას: შორს ჩემ-გან!

რ. Გ.

სიცრუის მორევში

ერთს განათლებულ ყმაწვილ თავადიშვილს შე-ვეკითხე: „რატომ ჩამოშორდით ჩვენს საზოგადო ცხოვრებას და არ იღებთ მონაწილეობას ქართულ საქმეების მოწყობაში? ქართველი საზოგადოება მო-ღვაწეებით ხომ მეტად ღარიბია და ყოველი კაცი მეტადრე განათლებული, მისთვის ძალიან ძვირ-ფასია. ამ ექვსი წლის წინად, მახსოვს, თქვენ დი-დის ენერგიით მოქმედობდით საზოგადო ასპარეზ-ზედ.

— საუბედუროდ, არ შემიძლიან, ჩემი რწმენ-ა ნებას არ მაძლევს ჩავერიო დღევანდელ რეაქციო-ნურ ხანის მოღვაწეობაში,—მიპასუხა განათლებულ-მა თავადმა.

— უკაცრავად, რა რწმენისა ბრძანდებით? შევეკითხე მე.

— სოციალისტი.

— სად მიიღეთ საშუალო განათლება?

— სათავად-აზნაურო გიმნაზიაში.

— უმაღლესი?

— ევროპაში.

— ეხლა რას აკეთებთ?

— ჩემს მამულს უვლი სოფელში.

— დიდი მამული გაქვთ?

— არა, ეგრე 80 დესეტინა სახნავი და 120—ტყე-მინდორი.

— რომელ მეურნეობის დარგს მისდევთ უფრო?

— ვაშლების მოშენებას.

— რას მოელოდებით მომავალში?

— 5 წლის შემდეგ წელიწადში მექნება 7-8 ათას მანეთამდე შემოსავალი. აქ ჩემს მესაუბრეს თვალები სიამოვნებით აუთამაშდა.

— მეწვიეთ, ბატონო, ჩემს მამულში... შშვე-ნიერი ღვინით და საუცხოვო ვაშლებით გაგიმასპინ-ძლდებით.. კარგად მოისვენებთ კიდეც ქართულ ალიაქოთისაგან. აი, შემოიხედეთ რა ჩასუქებული და გაწითლებული გახლავართ! მობრძანდით, მობრძან-დით!—მეხვეწებოდა ჩემი ნაცნობი სოციალისტი.

— დიდათ გმადლობთ დაპატიჟებისათვის, ვუ-პასუხე მე,—უსათუოდ გეწვევით, მხოლოდ... ხუთი წლის შემდეგ. მაშინ დავხედავ თქვენს „სოციალის-ტურ“ შრომას, და „სოციალისტურ“ შედეგებს.. ნახ-ვამდის!—გამოვესალმე მას.

ᲔᲠᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲘᲜᲔᲑᲘᲡᲛᲔᲥᲐᲠᲘ

სოფლის პატარა ოთახში რამდენიმე კაცი მა-გიდის გარშემო ვისხედით და ჩაისა ვსვამდით. საბო-ვარი ტკბილად შიშინებდა.

—როდის მობრძანდება მღვდელი?—ვკითხე ჩემს მეზობელს, დაგვიანებულია და ამ სიბნელეში, მგო-ნი, ველარ გამოვა აქაურ ხევხუვებზედ“.

„არა, — მიპასუხეს, გიახლებათ, ძალიან ყო-ჩაღი მღვდელია, ღამეს არ შეუშინდება“. მართლაც ამ დროს გარედამ ხმაურობა შემოისმა. ოთახის კა-რები გაიღო და სწრაფად შემოვიდა მაღალ-მაღალი შავგვრემანი ახალგაზრდა მღვდელი, ვეებერთელა მათრახით ხელში.

— მამაოს ვახლავარ! მივესალმე შემოსულ სტუმარს.

— ზდრასტვუიტე! მიპასუხა რუსულად მღვდე-ლმა და მაგრად ჩამომართვა ხელი.

ჩაი დაუსხეს.

— მამაო!—ჩამოვაგდე ლაპარაკი, ეს რა ამ-ბავია, რომ თქვენ სამწყსოში მარიამობას სოფლელები ვნახე, მინდორში მუშაობდნენ. განა თქვენმა გლე-ხებმა არ იციან, რომ ეს დღე ერთ ერთი საეკლე-სიო დღესასწაულია ქართველებისათვის?“

— ნეტავი თქვენა, ბატონო! ვიღაც ღვთის-მშობელზედ სწუხართ. მეც კი მომწყინდა ეკლესია-ში ათასი წმინდანების ხსენება, და ეხლა თქვენც, განათლებული კაცი, ამაზედ მელაპარაკებით და მი-საყვედურებთ კიდეც. რასაკვირველია, უნდა იცო-დნენ.. მაგრამ; საზოგადოთ ჩვენი ხალხი ძველებუ-რად ადარ არის ისეთი მორწმუნე, ეხლა უფრო დღეობებს ტანება, სადაკჭამა, სმა, ქეიფი მეფო-ბს..და, სწორე გითხრათ, პირადათ მე არც მივტირი ამ მოვლენას. რა ყრია ამ რწმენაში? ხალხს სიღა-რიბიდან არ გამოიყვანს, და უფრო ბურუსით მოსდებს მის ცხოვრებას. ამბობდა ამას ქართველი მღვდელი და მე კი გაოცებული ვუსმენდი.

— მე რწმენით უფრო სოციალისტი გახლა-ვართ—დაიკვეხა მღვდელმა და დაუმატა: ცოტა ნა-ციონალისტიც.

— მაინც როგორ მოახერხეთ და მოაქციეთ ერთს ტაფაში თქვენი სოციალისტური რწმენა და სამსახური ეკლესიისადმი?“ გაკვირვებული ვკითხავ-დი მას.

— განა არ შეიძლება, რწმენა გულში დამრ-

ჩეს? მარტო დღევანდელზედ ხომ არ უნდა ვიფიქროთ; მერე რაღა ვქნა? შიმშილით ხომ არ მოვკვდები, ეს სამსახური ჩემი საზრდოა და მივეჩვიე კიდეც..

— თქვენი ნაციონალისტობა რაღაში გამოიხატება? ცოტა ხნის შემდეგ შევეკითხე ჩემს უცნაურ მოკამათეს...

— როგორ თუ რაში! აი,. მაგალითად, ქართულ ეკლესიის ავტოკეფალიის დიდი მომხრე ვარ და მწამს, რომ დღეს ხვალ ჩვენი ეკლესია განთავისუფლდება სხვის პატრონობისაგან.

— მაგრამ თქვენ, ურწმუნოს და ეკლესიის წინაამდეგს, რისთვის გინდათ ავტოკეფალია და როგორ უნდა გამოიყენოთ იგი?

— ხომ მოგახსენეთ, რომ იმავე დროს ნაციონალისტი გახლავართ... ქართველ ერისათვის კი ქართულ ეკლესიის უფლებების აღდგენა დიდი ეროვნული საქმეა... თუ მე არა მწამს საზოგადოთ ეკლესია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვებს არა სწამთ და იმასაც, რომ მე კერძოთ ქართულ ეკლესიის ავტოკეფალიის წინაამდეგი უნდა ვიყო.

ასე გზა-დაბნეულად მებაასებოდა ერთი ქართველი სოფლის მღვდელი, ერთს მიყრუებულ ქართულ სოფელში და თავის „სოციალისტურ-ნაციონალისტურ“ მსოფლმხედველობას აღიარებდა ჩემს წინაშე.

პატარა დარბაზი სავსე იყო ახალგაზრდობით. ბაასობდნენ და ეკამათებოდნენ ერთმანეთს ქართულ ცხოვრების სხვა და სხვა მწვავე საკითხზედ.

. ქართველობის მიწა-წყლის უცხოელებზედ გაყიდვაზედ, ეროვნულ სკოლებზედ, ავტოკეფალიაზედ, ავტონომიაზედ, ნაციონალიზმზედ. ყველანი ერთხმივ აღიარებდნენ, რომ აუცილებელია შეერთებული ძალებით მუშაობა თავის სამშობლო ქვეყნის უფლებათა დასაცავად, რომ ყველასათვის ერთად ერთი გზაა უნდა განმტკიცდეს ქართველობაში ნაციონალური თვით ცნობიერება, გაღრმავდეს მისი ეკონომიური, კულტურული შინაარსი და მიღებული იყოს ზომები სამშობლო მიწის დასაცავად და სხვა...

წამოდგა ერთი ყმაწვილი და მიმართა თავის ამხანაგებს განმარტებით:

მაშასადამე: ჩვენი ღუხჭირი სინამდვილე გვავალებს ვიზრუნოთ, რომ ქართველი ხალხი მედგრად შეუდგეს მიწის შესყიდვას ჩვენ თავად-აზნაურობისაგან, არამც და არამც არ დაანებოს იგი უცხოელებს, სასტიკად დაიცვას თავისი მესაკუთრეობის პრინციპები და უფლებანი...

მღვდლებს უნდა მივმართოთ, რომ მიიზიდონ ეკლესიებში ხალხი, გაამდიდრონ ეკლესიები, დაიცვან მონასტრები და ამით მოუმზადონ მძლავრი ნიადაგი მომავალ ავტოკეფალიას.

ქართველ წვრილ და მსხვილ მემამულეთა, ვაჭარ-მრეწველთა და საერთოდ ქართულ ბურჟუაზიას ზურგი უნდა გავუმაგროთ, ხელი მოუმართოთ, რომ სომხის ბურჟუაზიის ანტიქართულ პოლიტიკას საქართველოში მედგარი მეტოქე გაუჩინოთ... მაგრამ ამ სიტყვებმა კრებაში დიდი აურზაური შეიტანა.

ასტყდა ყვირილი, აღიაქოთი.

— ეს მიმართულება რეაქციონურია! ჰყვიროდა ერთი.

— კლერიკალიზმის დაცვა შეუძლებელიაო! ამბობდა მეორე,

— მეწვრილმანების პოლიტიკის მწარმოებლად ჩვენ ვერ შევიქმნებითო! მოსთქვამდა მესამე.

— თქვენ სტოლიპინის იდეოლოგიის მცველი ბრძანდებითო!

ბატონებო! ამშვიდებდა არეულ მონასტერს ყმაწვილი კაცი, მე არ მესმის თქვენი აღელვება და გულისწყრომა! საერთო ნალაპარაკევიდამ სჩანდა, რომ ყველანი ერთსულოვნად ვაღიარებდით ქართულ ნაციონალურ ცხოვრების ყოველ მხარის დაცვას, გამაგრებას და ბევრი თქვენგანი, ვიცი, ცხოვრებაში იცავს კიდეც... მაშ რაშია საქმე? რა მოხდა?

— მაგალითად, ავტოკეფალია გსურთ,— მღვდლები კი არ გინდათ? როცა დიდუბის ეკლესიის უფლებას იცავდით, განა არ იცოდით, რომ უმღვდლოდ და უსამწყსოდ ეკლესიის უფლების დაცვა სასაცილო აქნებოდა?

— ან რა საბუთებით უარჰყოფთ ქართულ ბურჟუაზიის ძლიერ მნიშვნელობას ქართველ ერის წინსვლაში და მეტადრე მის ბრძოლაში თავის არსებობისთვის?

— ან გგონიათ სოციალისტურ რეცეპტებით, მაგალითად სოციალიზაციით და მის პრინციპებით შეუნახავთ სამშობლო ერს მის მიწა-წყალს?

— რეაქცია, კლერიკალიზმი, წვრილმანი პოლიტიკა, შოვინიზმი!

აი ის საშინელი სიტყვები, რომლითაც დაშინებულია თქვენი გონება, და საერთოდ ქართული ეროვნული აზროვნება. ჯანსაღ ეროვნულ პოლიტიკას კი ამ სიტყვებისა არ ეშინიან, რადგანაც იგი

ყოველთვის მოკლებულია ბნელ აზროვნებას და კაციჭამიობას.

ბატონებო! გვეყოფა უძლური ხელების ქნევა.

თუ გვინდა ამაყად და იმედით ვუცქიროთ საქართველოს მომავალს, უნდა გავანთავისუფლოთ მისი ეროვნული აზრი ამ უსაფუძვლო შიშებისაგან და გამოვიყვანოთ იგი ანარხისტ-მარქსისტ-კომუნისტურ მორევიდამ.

ასე უპასუხებდა ერთი ქართველი ყმაწვილი თავის ქართველ ამხანაგებს.

ასე ვუპასუხებთ ჩვენც დღევანდელ არეულ-დარეულ ქართულ სინამდვილეს, რომელშიაც ჩასუქებული თავადი და მღვდელი სოციალისტობს, სოციალისტი ნაციონალისტობს, ბურჟუა—დემოკრატობს და გზა-დაბნეულ ქართულ სოციალ-პოლიტიკურმა აზროვნებამ არ იცის, როგორ დააღწიოს თავი ამ საშინელ არეულ-დარეულ წყვდიადსა.

სიცრუის მორევში მოემწყვდა დღეს ქართული ეროვნული ცხოვრება და დღითი დღე უფსკრულში იძირება.

ეკალი.

კულტურული საქმიანობა სოფლად

სასოფლო გაზეთები „ქართველი“ და „ხმა კახეთისა“

II

ჩვენი სოფელი დღეს გარდამავალ ხანას განიცდის. როგორც პირველ *) წერილშიაც აღვნიშნე, სოფლის ცხოვრებაში განვლილმა ქარტეხილმა და ამისმა შედეგებმა, გლეხის ცხოვრებას წაუშლელი დალი დაასვეს. აღნიშნულმა ამბებმა გლეხს ბევრი რამ აგრძნობინეს, ბევრი რამ ახალი დაანახვეს და მის ცხოვრებაში სხვა ახალ-ახალი მოთხოვნილებანი წარმოშვეს. ამ გაფართოებულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად კი საშუალება ძველი დარჩა, რაკი გლეხის ცხოვრების პირობები არა თუ არ გაუმჯობესებულა შედარებით წინანდელთან, არამედ კიდევაც გაუარესდა, თუ განსაკუთრებით მხედველობაში მივიღებთ მის მიწათ-მფლობელობის შევიწროებას, ამ ბოლო ხანებში გაძლიერებულს საკოლონიზაციო პოლიტიკის მეობებითაც.

ასეთი გარემოება კი სოფლის ცხოვრებაში, ერთის მხრივ მოთხოვნილებათა გაფართოება და მეორეს მხრივ უსაშუალობა მათ დასაკმაყოფილებლად, გლეხს აიძულებს, თავის საკუთარ ძალ-ღონით გამოძებნოს ისეთი გზა, რომელიც დღევანდელ ობიექტიურ დუხჭირ პირობებშიაც ცოტა-ოდნად მაინც დააკმაყოფილებს მის ახალ მოთხოვნილებათ. იძულებულია მეთქი, ვამბობ, რადგან მას, როგორც წინადაც აღვნიშნე იმედი აქვს გაცრუებული დღევანდელ აუარებელ სიტყვით მოკეთეებისადმი და მათ შორის ვერ გამოურჩევია ნამდვილი გულ შემატკივარი.

აღნიშნული ხანა, ხანა ძიებისა, დიდ მნიშვნელოვან ხანად ითვლება ყველა ხალხის ცხოვრებაში, რადგანაც მთელი მომავალი ცხოვრება და მისი მიმართულება იმაზედ არის დამოკიდებული, თუ რა საფუძველი ჩაეყრება ამ ძიების ხანაში. ეს გარემოება ავალებს ყველა იმას, ვინც მოინდომებს ამ დროს ხალხში მუშაობას და მის ცხოვრებისათვის განსაკუთრებულ მიმართულების მიცემას, ღრმად ჩაუკვირდეს დღევანდელ ჩვენი სოფლის ვითარებას, ასწონ-დასწონოს მისი ცხოვრება და ყოველი ნაბიჯი ათჯერ გაზომის შემდგომ გადადგას.

სამწუხაროდ, დღეს ჩვენში ამას ვერ ვხედავთ. იმ პატარა კულტურულ-ეკონომიურ ხასიათის საქმიანობაშიც კი, რომელიც ამ ჟამად ჩვენს სოფელში კეთდება, ნათლად გამოსჭვივის ამ ნიადაგზედ მომუშავეთა მოუმზადებლობა; მაგალითად, ხშირად აარსებენ სამკითხველოებს და მართავენ წარმოდგენებს ისეთ სოფლებში, საცა „ან-ბანის“ მცოდნე არ მოიპოვება და ამასთანავე ისეთი სახით, რომ არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლიან. *) ინტენსიურად ხსნიან ყოველ სოფელში საკრედიტო დაწესებულებათ, როცა ჯერ ნაკადიც არა გვაქვს, შესძლებს ჩვენი გლეხი მის ხეირიან გამოყენებას, თუ ეარეს მდგომარეობაში ჩავარდება და სხვ. ეს იმისი დამამტკიცებელია, რომ მარტო სურვილი, თუნდაც დიდად მხურვალე, საკმარისი არ არის საქმის სასურველად წასამართავად. ამ შემთხვევაში საჭიროა ამ გულმხურვალე მომუშავეთ ჰყავდეთ შესაფერი ხელმძღვანელი, რომელიც გაუკვლევს გზას და გარკვეულს მიმართულებას მისცემს, რო-

*) იხ. „კლდე“ № 10.

*) წარმოდგენების და სამკითხველოების შესახებ შემდეგ გვექნება ლაპარაკი.

გორც სოფელში მომუშავეს ისე სოფლის ცხოვრებას.

ასეთი როლი ხელმძღვანელისა, ჩემის ფიქრით, შეუძლიანთ იკისრონ იმ ორგანოებმა, რომელნიც გამოვიდნენ ქართლში და კახეთში და რომელთა რიცხვიც შემდეგში უნდა გამრავლდეს და მოედოს ყველა დანარჩენ კუთხეებს ჩვენის ქვეყნისა, რადგანაც მხოლოდ ამ გვარ გაზეთებს, რომელნიც ახლო უდგანან ხალხს, შეუძლიანთ ხელმძღვანელობა გაუწიონ.

მხოლოდ, რასაკვერველია, საჭიროა, ამ სასოფლო გაზეთების შინაარსი ერთის მხრით აკმაყოფილებდეს გლეხის გაღვიძებულ ცოდნის სურვილის —პრაქტიკულ ხასიათის ცოდნის მიწოდებით, და მეორეს მხრივ უკაფავდეს გზას მომავლისკენ და ანვითარებდეს მის თვითშეგნებას, გათვითცნობიერებას.

სახელდობრ, სასოფლო გაზეთები უნდა აღნიშნავდნენ ხოლმე სოფლის ყველა საჭირ-ბოროტო მოვლენას, ამასთანავე აძლევდნენ მკითხველს პრაქტიკულ ხასიათის ცოდნას, როგორც მაგალითად გლეხის განსაკუთრებულ უფლებრივ მდგომარეობის შესახებ, მამულების ყიდვა-გაყიდვის წესების შესახებ, გადასახადებისა და სხვა, რომ ამით გლეხს თვით მიეცეს იარაღი სოფლად გამეფებულ ცარცვა-გლეჯის და მექრთამეობის წინააღმდეგ საბრძოლველად. სასოფლო გაზეთები განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდნენ კულტურულ-ეკონომიურ ორგანიზაციების დაარსებას სოფლად. ამ შემთხვევაში გაზეთი არ უნდა კმაყოფილდებოდეს მარტო აღნიშვით ამა თუ იმ ორგანიზაციის დაარსების შესახებ, იგი უნდა აღნიშნავდეს, რამდენად შეეფერება ამა თუ იმ სოფელს და მის ცხოვრების პირობებს, ესა თუ ის კულტურულ-ეკონომიური ხასიათის საქმიანობა, კიდევაც მეტი, იგი უნდა ურჩევდეს და აძლევდეს გეგმას თვითეულ სოფლისთვის კულტურულ-ეკონომიურ ხასიათის მუშაობისას, ამას მოითხოვს ჩვენი სოფლების სხვადასხვაობა. ყველა ამის გარდა, სოფლის გაზეთები ყველგან და ყველაფერში უნდა ხელმძღვანელობდნენ ეროვნულის თვალსაზრისით, რადგანაც თვით კულტურულ-ეკონომიური ხასიათის საქმიანობა მაშინ არის საფუძვლიანი, როცა მას ეროვნული სამოსელი აქვს; ამისთვის კი ყოვლის უპირველესად საჭიროა ხალხში ეროვნული თვითშეგნების ცეცხლის ანთება. ამ უკანასკნელი მიზნის მისაღწევად სოფლის გაზეთებმა უნდა ბეჭდონ მდაბიოდ მნიშვნელოვანი მოვლენანი ჩვენის ისტორიიდან, გააცნონ ჩვენი გამოჩენილი მწერლები და მათი შესამჩნევი ნაწერები. ყველა აქ აღნიშნულის შესაფერად გაკეთებულ [illegible] იმისთანა ორგანოებს, რომელთაც ხელმძღვანელობენ მთელი ჯგუფები გარკვეულ ნაციონალურ-სოციალურის იდეალით გაჟსჭვალულნი, რითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ ყველა პრაქტიკულ საკითხის გადაწყვეტაში და მასთან შეფარდებით მოქმედობდნენ.

